ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3333227

ნომერი: AR1510760

თარიღი : 02.06.2017

გაცემის თარიღი : 19.06.2017

გაცნობის თარიღი : 19.06.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბამბის რიგისა და რკინის რიგის გადაკვეთაზე(მოედანზე)/ქალაქი თბილისი, მეტეხის ხიდის ბურჯების მიმდებარედ, (ნაკვეთი #46/27);

დამკვეთი-განმცხადებელი

- რუსუდან ღვინიაშვილი პ/ნ 01022005388
- ქ. თბილისი, აფხაზის 44

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 02/06/2017 წლის #AR1510760 განცხადება, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, ბამბის რიგისა და რკინის რიგის გადაკვეთაზე(მოედანზე)/ქალაქი თბილისი, მეტეხის ხიდის ბურჯების მიმდებარედ ღია საზაფხულო კაფეს მოსაწყობად წერილობით ნებართვის გაცემას გაცნობებთ: რადგან წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, საკითხი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მიერ, რომლის დასკვნის საუძველზე საკითხი გადაწყდა უარყოფითად.

რეკომენდაცია: უარი ეთქვას ქ. თბილისში, ბამბის რიგისა და რკინის რიგის გადაკვეთაზე (მოედანზე)/მეტეხის ხიდის ბურჯების მიმდებარედ (ნაკვ. 46/27)-ში ღია კაფესა და ბარის მოწყობის საკითხს - მოედნის ასე ამოვსება ავეჯით დაუშვებელია.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ოქმის რეკომენდაციების გათვალისწინებით ახალი განაცხადით წარმოადგენთ დოკუმენტაციას, საკითხს კვლავ განიხილავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.